ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დანართის მე–4 და მე–11 მუხლებთნ, რომლის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმები.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვის და პრივატიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში ვალერი ყაჭეიშვილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“.

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: *ვალერი ყაჭეიშვილმა*

ჩოხატაური მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილება

ჩოხატაური

ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმა დანართი №1–ის შესაბამისად.

/დანართი №1 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 2

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმა დანართი №2–ის შესაბამისად.

/დანართი №2 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 3

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ აუქციონის შედეგების ოქმის ტიპიური ფორმა დანართი №3–ის შესაბამისად.

/დანართი №3 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 4

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების ტიპიური ფორმა დანართი №4–ის შესაბამისად.

/დანართი №4 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 5

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების ტიპიური ფორმა დანართი №5–ის შესაბამისად.

/დანართი №5 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 6

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, მართვის უფლებითა და პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის (პირობებით/უპირობოდ) ხელშეკრულების ტიპიური ფორმა დანართი N6–ის შესაბამისად.

/დანართი №6 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 7

დამტკიცდეს ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმა დანართი №7–ის შესაბამისად.

/დანართი №7 დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 8

ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ჩოხატაურის საკრებულოს 2011 წლის 11 იანვრის №17 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების (ადმინისტრაციული დაპირება) ფორმის დამტკიცების შესახებ“ .

მუხლი 9

ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ჩოხატაურის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის №17 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 10

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტის ავტორი **ვალერი ყაჭეიშვილი**

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № -----

(ტიპიური ფორმა)

___ ____ _____ ჩოხატაური
(რიცხვი, თვე, წელი)

წინამდებარე ოქმი გაიცა

---------- აუქციონში გამარჯვებულ პირზე

(აუქციონში გამარჯვებულის (ტექსტში შემდგომში - მყიდველის) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად,

---

(ქონების დასახელება, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე ----------
(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი ფასი ---------- (----------) ლარი.
(ციფრებით) (სიტყვიერად)

პრივატიზების მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ აუქციონზე (თარიღი) მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

---------- ----------

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით საკუთრებაში გადაეცემა

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა) - შემდგომში ქონება

ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების პირობები და მხარეთა უფლება–მოვალეობები:

1. მყიდველმა აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი: ——— (————————) ლარი სრულად

(ციფრებით) (სიტყვიერად)

უნდა გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2. მყიდველს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასის გადახდა შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მისი დადასტურების მომენტიდან.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონება საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისაგან მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველს

გადაეცემა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან გამყიდველი გასცემს საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას.

7. თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ნასყიდობის საბოლოო ფასს, აუქციონის შედეგები უქმდება, მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ უბრუნდება შეტანილი ბე /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

9. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაპირება, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

(ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას)
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

--- ---
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

--- ---
(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

---------- ბეჭდის ადგილი

(საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას)

სააუქციონე კომისიის თავმჯდომარე /——————————/——————————————/

ხელმოწერა სახელი, გვარი

მყიდველი

/——————————/——————————————/

ხელმოწერა სახელი,გვარი

---------- ბეჭდის ადგილი

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (საჯარო/ელექტრონული) პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № -------

(ტიპიური ფორმა)

___ ____ _____ ჩოხატაური

(რიცხვი, თვე, წელი)

წინამდებარე ოქმი გაიცა

_____

_____

_____ პირობებით აუქციონში გამარჯვებულ პირზე

(აუქციონში გამარჯვებულის (ტექსტში შემდგომში - მყიდველის) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი, მისამართი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად,

---

_____

(ქონების დასახელება, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

მდებარე ----------

(ქონების მისამართი)

ქონების საწყისი ფასი ---------- (----------) ლარი.

(ციფრებით) (სიტყვიერად)

პრივატიზების მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

---------- ----------

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით საკუთრებაში გადაეცემა:

_____

_____

_____

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან მათ შორის ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, სარეგისტრაციო ნომერი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა) - შემდგომში ქონება.

მყიდველი ვალდებულია შეასრულოს აუქციონის პირობები:

1. აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი: ——— (----------) ლარი უნდა გადაიხადოს

(ციფრებით) (სიტყვიერად)

აუქციონის ჩატარებიდან ---------- ვადაში

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა)

_____

_____

_____

_____

_____

საბოლოო თანხის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონატორის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე. 2. ვალდებულებები.

1. მყიდველი ვალდებულია, შეძენილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემდგომი

გამოყენებისას, დაიცვას ოქმით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე ან/და 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს.

2. მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

3. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით და ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

4. ოქმის მოქმედების პერიოდში შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად დაფარვამდე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა პირობადებულ საკუთრებაში, ამასთან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

5. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

6. ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმით და ხელშეკრულებით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ა) სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მყიდველის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

7. ოქმით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების ოქმის გაუქმების საფუძვლად.

8. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა შეძენილი ქონების საბოლოო/სრული ნასყიდობის ღირებულების დაფარვის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

9. თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ქონების საფასურს, აუქციონის შედეგები უქმდება, მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ უბრუნდება შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

10. მყიდველს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

11. ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

12. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაპირება, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

(ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

--- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

---------- ----------

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

---------- ბეჭდის ადგილი

(საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას)

სააუქციონე კომისიის თავმჯდომარე /——————————/——————————————/

ხელმოწერა სახელი, გვარი

მყიდველი

/——————————/——————————————/

ხელმოწერა სახელი, გვარი

---------- ბეჭდის ადგილი

დანართი 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) შედეგების ოქმი № —— (ტიპიური ფორმა)

აუქციონის ჩატარების თარიღი: 201 წლის ———————— აუქციონის ჩატარების საფუძველი:

აუქციონის ორგანიზატორი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. სარგებლობაში გადასაცემი ქონება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება

_____

(ქონების დასახელება, მდებარეობა, სარეგისტრაციო მონაცემები)

სარგებლობის საწყისი ფასი : ——————————— (————————————) ლარი. სარგებლობის ფორმა: ——————————————

სააუქციონო ბიჯის სიდიდე ———————— (——————————————) ლარი. სარგებლობაში გადაცემის ვადა: ———————— წელი.

აუქციონში მონაწილეები:

1. ----------
2. ----------

აუქციონში გამარჯვებული: ——————————————————————————————

(გვარი, სახელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ფიზიკური პირებისთვის)

(იურიდიული პირებისთვის: სრული დასახელება, იურიდიული მისამართი, სარეგისტრაციო მონაცემები)

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ოქმის საფუძველზე, არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან გააფორმოს

სარგებლობის ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაპირება, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ორი რჩება მესაკუთრეს, ხოლო ორი გადაეცემა აუქციონში გამარჯვებულს.

(ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

--- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

--- ---

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

--- ბეჭდის ადგილი

(საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას)

სააუქციონე კომისიის თავმჯდომარე /——————————/——————————————/
ხელმოწერა სახელი,გვარი

აუქციონში გამარჯვებული /——————————/——————————————/

ხელმოწერა სახელი,გვარი

---------- ბეჭდის ადგილი

დანართი 4

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება № -------

(ტიპიური ფორმა)

___ ____ _____ ჩოხატაური

(რიცხვი, თვე, წელი)

სახით /პირადი №_____; უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი – მინდობილობა (_____ წელი) № ----------/ (ტექსტში - „მესაკუთრე“ წოდებული) ერთის მხრივ და ---------- /მის. ----------/ სახით (შემდგომში „ქონების მყიდველად“ წოდებული) მეორეს მხრივ, ვდებთ ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას, შემდგომში ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის მიმართ.

მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ამ ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669

დადგენილება და 201 წლის ---- -------- ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგები და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № —— (თარიღი).

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

201 წლის ---- -------- ჩატარებული აუქციონის შედეგებისა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № ——— (თარიღი) საფუძველზე „მესაკუთრე“ გადასცემს, ხოლო „ქონების მყიდველი“ იღებს ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას, კერძოდ: ----------

---------- */საკადასტრო კოდი: №---------- /.*

მუხლი 4. აუქციონის ფორმით პრივატიზების პირობები და მხარეთა უფლება–მოვალეობები

1. მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასი: ---------- (ციფრებით) ---------- (სიტყვიერად) სრულად გადაიხადოს, ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
2. მყიდველს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასის გადახდა შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მისი დადასტურების მომენტიდან.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ქონება საკუთრებაში ან სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს ან უფლებრივად დატვირთოს. ამასთან, იგი პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისაგან მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველს

გადაეცემა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების ანაზღაურების შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან გამყიდველი გასცემს საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას.

7. თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ნასყიდობის საბოლოო ფასს, აუქციონის შედეგები უქმდება, მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ უბრუნდება შეტანილი ბე /უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების, შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

9. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

11. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

12. ხელშეკრულებას, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ა. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ბ. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული იურიდიული პირია, იურიდიული პირის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული მოქმედებს წარმომადგენილის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ჩოხატაურის აღმასრულებელი ორგანო

--- ---

(ხელმოწერა)

მყიდველი

აუქციონში გამარჯვებული პირი

--- ---

(ხელმოწერა)

პირადი № ს/კ ----------

--- ბეჭდის ადგილი

დანართი 5

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებით ნასყიდობის ხელშეკრულება № -------

(ტიპიური ფორმა)

_____ _____ _____ ჩოხატაური

(რიცხვი, თვე, წელი)

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

---------- */პირადი № ----------*

-; უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი – მინდობილობა (----------

წელი)

№----------/

(ტექსტში - „მესაკუთრე“ წოდებული) ერთის მხრივ და ---------- /მის. ----------/ სახით (შემდგომში „ქონების მყიდველად“ წოდებული) მეორეს მხრივ, ვდებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას, შემგომში ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის მიმართ.

მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ამ ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება, 201--- წლის ---- -------- ჩატარებული პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № —— (თარიღი).

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

201-- წლის ---- -------- ჩატარებული აუქციონის შედეგებისა და პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი № —— (თარიღი) საფუძველზე „მესაკუთრე“ გადასცემს, ხოლო „ქონების მყიდველი“ იღებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებულ ქონებას, კერძოდ:————————————————————————————

————————————————— */ საკადასტრო კოდი: №----------/.*

მუხლი 4. მყიდველი ვალდებულია შეასრულოს აუქციონის პირობები:

1. აუქციონზე შეძენილი ქონების ფასი: ———— (————————————) ლარი უნდა გადაიხადოს

(ციფრებით) (სიტყვიერად)

აუქციონის ჩატარებიდან ——————————————————————————————— ვადაში

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა)

_____

_____

_____

_____

_____

საბოლოო თანხის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონატორის მიერ მითითებულ საბანკო

ანგარიშზე.

2. ვალდებულებები.

ა. მყიდველი ვალდებულია, შეძენილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემდგომი გამოყენებისას, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე ან/და 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს.

ბ. მყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

გ. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების

გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით და ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

დ. ოქმის მოქმედების პერიოდში შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების სრულად დაფარვამდე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა პირობადებულ საკუთრებაში, ამასთან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

ე. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

ვ. ოქმით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმით და ხელშეკრულებით საუქციონო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ვ.ა. სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ვ.ბ. საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ვ.გ. მყიდველის მიერ სხვა საუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%.

ზ. ოქმით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების ოქმის გაუქმების საფუძვლად.

თ. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა შეძენილი ქონების საბოლოო/სრული ნასყიდობის ღირებულების დაფარვის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

ი. თუ მყიდველი დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის ქონების საფასურს, აუქციონის

შედეგები უქმდება, მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ უბრუნდება შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

კ. მყიდველს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

ლ. ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ, ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით.

მ. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ნ. ნასყიდობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

ო. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

პ. ხელშეკრულებას, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის: პ.ა. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

პ.ბ. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული იურიდიული პირია, იურიდიული პირის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

პ.გ. იმ შემთხვევაში თუ აუქციონში გამარჯვებული მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო _____

---------- (ხელმოწერა)

მყიდველი

აუქციონში გამარჯვებული პირი

_____ _____

პირადი № ს/კ ---------- (ხელმოწერა

---------- ბეჭდის ადგილი

დანართი №6

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის/პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის პირობებით/უპირობოდ ხელშეკრულება № _____

(ტიპიური ფორმა)

_____ _____ _____ ჩოხატაური

(რიცხვი, თვე, წელი)

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

——— სახით

/პირადი №————————————————; უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი – მინდობილობა (——————————— წელი) № ----------/

(ტექსტში - „მესაკუთრედ“ წოდებული) ერთის მხრივ და ---------- /მის. ----------/ სახით (შემდგომში „----------“ წოდებული) მეორეს მხრივ, ვდებთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ---------- ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები ხელშეკრულების საგნის მიმართ.

მუხლი 2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ამ ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის /————— წელი/ №-------- ბრძანება.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობით/უპირობოდ, უფლებით, სარგებლობაში გადაცემისათვის 201 წლის ---- -------- ჩატარებული (საჯარო/ელექტრონული) აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის /——————— წელი/ №------- ბრძანების საფუძველზე „მესაკუთრე“ გადასცემს, ხოლო „----------“ ----------

- (აღნაგობა, უზუფრუქტი, იჯარა, ქირავნობა, თხოვება ან სხვა) ფორმით სარგებლობაში იღებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას, კერძოდ: ----------
---

---------- */საკადასტრო კოდი: №---------- /.*

ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად, მხარეებს შორის ფორმდება სარგებლობაში გადასაცემი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი.

მუხლი 4. სარგებლობის ქირა, გადახდის ვადები

1. ყოველწლიური ---------- ქირა შეადგენს ---------- /----------/ ლარს.

2. „----------“ ---------- ქირას იხდის ყოველთვიურად/ყოველწლიურად ან კვარტალში ერთხელ.

3. „----------“ ქირის გადახდამდე ანგარიშის დასაზუსტებლად უნდა მიმართოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. „----------“ ვალდებულია ქირის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, გადახდიდან არა უგვიანეს 5 დღისა წარუდგინოს ქონების „მესაკუთრეს“.

მუხლი 5. ხელშეკრულების ვადა

ამ ხელშეკრულებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობაში გაიცემა ------ (-----) წლით. ---------- ვადა აითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღიდან.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. „მესაკუთრე“ ვალდებულია:

ა. მოამზადოს ქონების ---------- გადასაცემად საჭირო დოკუმენტაცია;

ბ. ხელი შეუწყოს „--------- “ მიერ ---------- აღებული ქონებით სარგებლობას.

2. „მესაკუთრეს“ უფლება აქვს:

ა. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაათვალიეროს ---------- გაცემული ქონება.

ბ. მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი:

ბ.ა. „----------“ არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

ბ.ბ. „----------“ განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს ---------- გაცემულ ქონებას, რითაც ზიანი ადგება „მესაკუთრეს; აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში „მესაკუთრე“ 1 კვირით ადრე წერილობით აცნობებს „----------“ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და თუ ამ ვადაში „----------“ არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, „მესაკუთრე“ უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება დადგენილი წესით;

გ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3. „----------“ ვალდებულია

შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა. _____

_____

_____

_____

ბ. არ განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ქონების მიმართ;

გ. აუნაზღაუროს „მესაკუთრეს“ ქონების მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ზიანი, ამასთან ნორმალური ცვეთა მხედველობაში არ მიიღება;

დ. უზრუნველყოს ---------- ხელშეკრულების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

4. „----------“ უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ ---------- გადაცემული ქონება გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რომლისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება;

ბ. საკუთარი სახსრებით აწარმოოს მშენებლობა/რემონტი, აგრეთვე სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ---------- საქმიანობასთან. აღნიშნულ საქმიანობებზე გაწეული ხარჯები „მესაკუთრის“ მხრიდან კომპენსაციას არ ექვემდებარება. ამასთან, „---------- “ არა აქვს სარგებლობაში გადაცემული ქონების გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება „მესაკუთრის“ თანხმობის გარეშე.

გ. --------- გასცეს ---------- უფლებით გადაცემული ქონება ან მისი ნაწილი მესაკუთრესთან შეთანხმებით. ამასთან ---------- პირობები უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ვადის დასრულების ან ვადამდე გაუქმების შემთხვევაში ---------- წყდება.

5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს უფლება არა აქვს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით მიღებული ქონება, სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის, გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეუთანხმებლად. ამასთან, იგი პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

7. „----------“ აქვს ---------- უფლებით აღებული ქონების უკან დაბრუნების უფლება და თავისუფლდება ქირის შემდგომი გადასახადისაგან, თუ „მესაკუთრეს“ მოთხოვნის შემთხვევაში შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და „მესაკუთრესათვის“ მისაღებ ახალ

„----------“. სხვა შემთხვევაში იგი ვალდებულია გადაიხადოს ქირა ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე.

მუხლი 7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების მიმღები პირის პასუხისმგებლობა

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია, მისთვის გადაცემული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

2. სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა. ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში – გადაუხდელი ქირის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ. საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში – დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3. სარგებლობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა სარგებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღამსრულებელი ორგანოს მიერ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.

მუხლი 8. ქონების საკუთრების უფლება

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონება, რომელიც გადაცემულია სარგებლობის უფლებით, სარგებლობის ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდგომ უნდა დაუბრუნდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუ „----------“ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ არ დააბრუნებს ---------- აღებულ ქონებას,

მაშინ „მესაკუთრეს“ შეუძლია მოითხოვოს დათქმული ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის. „მესაკუთრეს“ შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

2. სარგებლობაში გადაცემული ქონების გამოყენებით შექმნილი პროდუქცია, შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯზე შეძენილი ქონება ეკუთვნის „----------“.

3. სარგებლობაში გადაცემული ქონების მიმღების საკუთრებაა, სარგებლობაში გადაცემული ქონების მთელი ის გაუმჯობესებული ნაწილი, რომელიც მან შეძლო საკუთარი და მასთან გათანაბრებული სხვა სახსრებით და რომელთა გამოყოფა შეიძლება სარგებლობაში გადაცემული ქონების დაუზიანებლად. იმ შემთხვევაში, თუ ქონების ნაწილის გამოყოფა ქონებისაგან შეუძლებელია, სარგებლობაში გადაცემული დაუზიანებლად, მათი ღირებულება „მესაკუთრის“ მიერ არ ანაზღაურდება.

მუხლი 9. ფორს - მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველ ძალთა გამო.

2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომისა და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, მიწისძვრებს, სამარ მოქმედებებს, სამოქალაქო არეულობებს და სხვა. აგრეთვე, კანონმდებლობის შეცვლა, სახელმწიფო ორგანოების

მოქმედებები, რომლებიც შეუძლებელს გახდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს იმ ვადით, რა პერიოდშიც იარსებებს დაუძლეველ ძალთა სიტუაცია. ვალდებულების შესრულების ვადის გადაწევა არ მოხდება იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარემ დაკარგა ინტერესი მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულებისადმი.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების მიერ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 11. სხვა დებულებანი

1. მხარეთა შორის წარმოქმნილი სხვა სადაო საკითხები სწყდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო გადაუწყვეტლობის შემთხვევაში სასამართლოში.

2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩოხატაურის სარეგისტრაციო სამსახურში.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

„მესაკუთრე“ „_____“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა _____

მისამართი: ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 მისამართი: _____

---------- _____

უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი _____

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის _____

მინდობილობა (_____ წელი) № _____

დანართი №7

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია ქონების საკუთრების

დამადასტურებელი მოწმობა

№ ----------

(ფორმა)

ეძლევა ----------

(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ, რომ მას გადაეცა საკუთრებაში _____

(ქონების დასახელება, მისამართი)

_____

(პირობა)

მიწის ფართობი _____ _____

(კვ. მ.) (მიწათსარგებლობის ფორმა)

საფუძველი: _____

ნასყიდობის ხელშეკრულების

თარიღი და ნომერი _____

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად, ორი გადაეცემა

_____

(მესაკუთრის სახელი, გვარი / დასახელება)

რომელიც ერთ ეგზემპლარს წარუდგენს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო, ერთი ეგზემპლარი ინახება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

გაცემულია 2015 წლის „.“ _____

ბ.ა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

დასკვნა

,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი, შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დანართის მე–4 და მე–11 მუხლებთან, რომლის თანახმად საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ,,ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმები.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*